ოქმი:**ო12. 3722335001**

თარიღი:**01/12/2022**

ოქმი № 21

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: მარინა ვაშალომიძე - კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ,. ნადირასვილი, ნ. სარჯველაძე, ბ. მელუა, დ. მდინარაზე, ხ. ცერცვაძე, ტ. მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: მ. ვაშალომიძე

თანამომხსენებელი პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, მ. ვაშალომიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე, ყურადღება გაამახვილა კომისიის დარგობრივ სტრუქტურაში შემავალი პრიორიტეტებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, ხოლო პროექტთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია გააკეთა გააკეთა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი იზრდება 5.836 მილიონი ლარით, ძირითად პრიორიტეტებზე საუბრის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომისიის დარგობრივი პროგრამების დაფინანსებას, ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ბ. მელუამ განაცხადა, რომ მომავალში ბიუჯეტის პროექტის განხილვებს აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ და მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის მ. ვაშალომიძის წინადადებას პროექტი საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად კორექტირების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად კორექტირების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მარინა ვაშალომიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი